საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10850/01
17/11/2020

10850-01-2-202011171723

შპს „სიდერს“
მის: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №70

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 9 ნოემბრის N17508 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში სამელიორაციო სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია, წყალაღების წერტილიდან სატუმბ კვანძამდე, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სარწყავ-გამანაწილებელი სისტემის ძირითადი ქსელის მოსაწყობად გამოყენებული მილსადენების შესახებ. კერძოდ, რა ტიპის მილის გამოყენებაა დაგეგმილი, პარამეტრები (სიგრძე, დიამეტრი), მათი განთავსების სქემა და ადგილმდებარეობა (მილსადენი განთავსდება მიწის ზედაპირზე თუ მიწის ქვეშ). ამასთან, თუ დაგეგმილია მიწისქვეშა მილსადენის გაყვანა, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მიწაზე სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული ტექნიკის, თხრილის სიგრძის, სიღრმის, დიამეტრის, ნიადაგზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაცია მდინარე ბოინის ჰიდროლოგიის, წყლის ხარჯის შიდაწლიური განაწილების შესახებ წყალაღების წერტილზე;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს ზემოქმედებას ქვედა დინებაში არსებულ ან დაგეგმილ საქმიანობებზე, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. თუმცა განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობებზე, რაც მნიშვნელოვანია გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად;
- 2020 წლის 28 აპრილს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-367 ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „სიდერის“ (სარწყავი) სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ”, რომლის თანახმად შპს

,,სიდერს” დაგეგმილი აქვს წყლის აღება ამავე მდინარიდან სხვა წერტილში (ქვედა ბიეფში). აღნიშნული საკითხი საჭიროებს სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას და შესაბამისი ინფორმაციის ასახვას. ასევე ზემოაღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებითა და წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით სარწყავი სისტემების მოწყობა დაგეგმილია ერთ საკადასტრო კოდზე (26.25.11.228) არსებული მიწის ნაკვეთის ორ სხვადასხვა ნაწილში მდებარე მოცვის ბაღისთვის. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო (მოსარწყავი) ტერიტორიის GPS კოორდინატები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „სიდერი“ უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე